ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2669447

ნომერი: AR1416193

თარიღი : 23.06.2016

გაცემის თარიღი : 23.06.2016

გაცნობის თარიღი : 23.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჩოჩიშვილი პ/ნ 59001003605
- ჯიქიას ქ 6ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

23/06/2016 წლის №AR1416193 განაცხადთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 23/06/2016 წლის №AR1416193 განცხადებით მომართეს დავით ჩოჩიშვილმა, დარეჯან ბასილაიამ, ირაკლი კობახიძემ,

ფირუზ მიქავამ, ნიკა მიქავამ, მარინე გელაშვილმა, ნიკა გელაშვილმა, ნინო უჩავამ, ნათია უჩავამ, ლევან ადეიშვილმა, იამზე ჩიქოვანმა და ელვირა ქურდობაძემ და ამავე სამსახურის 07/08/2015 წლის №2027450 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვეს.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურმა 07/08/2015 წლის №2027450 გადაწყვეტილებით N01.14.05.008.091 საკადასტრო ერთეულზე განთავსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე რეკონსტრუქცია მიშენება–დაშენებით განხორციელებისთვის დაადგინა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

დღეისათვის, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882015173333; მომზადების თარიღი: 30/03/2015 16:10:58) თანახმად, მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.091) წარმოადგენს დავით ჩოჩიშვილის, დარეჯან ბასილაიას, ირაკლი კობახიძის, ფირუზ მიქავას, ნიკა მიქავას, მარინე გელაშვილის, ნიკა გელაშვილის, ნინო უჩავას, ნათია უჩავას, ლევან ადეიშვილის, იამზე ჩიქოვანის, ელვირა ქურდობაძის, დავით ლაფაჩის, დავით ტორუას, თადეოზ შამათავას, ირაკლი ბიბილაშვილის, ლელა კამლაძის, ლია მესხელისა და მარგალიტა შუბითიძის თანასაკუთრებას.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან), არის მრავალბინიანი სახლი, შესაბამისად, სამსახურის 07/08/2015 წლის №2027450 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის საჭიროა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმი. დასახელებული კანონის 28-ე მუხლის მიხედვით ამხანაგობის წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3. ამხანაგობის წევრთა კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებელთა მიერ ზემოაღნიშნული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი ამხანაგობის კრების ოქმი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, წინამდებარე განაცხდთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად მიღებული კრების ოქმი №2027450 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოთ განმცხადებლებს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად მიღებული კრების ოქმი №2027450 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 23/06/2016 წლის №AR1416193 განაცხადი დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.